დამკვირვებლის ანგარიშის ფორმა

მასწავლებლის ძირითადი კომპეტენციები:

- სწავლისა და სწავლების მეთოდები
- კომუნიკაციის უნარ-ჩვევები
- ტუტორიალის ჩატარების უნარ-ჩვევები
- სამედიცინო ლიტერატურის კრიტიკული შეფასება/აზროვნება და მტკიცებულებაზე დამყარებული მედიცინა
- აუდიტი/პროექტი
- შეფასება - Appraisal
- შეფასება - Assessment
- კლინიკური უნარ-ჩვევები

მეცადინეობაზე დასწრების თარიღი: 10.12.08 დამკვირვებლის გვარი:

მეცადინეობის ტიპი:

√ მცირე ჯგუფები

☐ მრავალდისციპლინური მეცადინეობა

მეცადინეობას ატარებდა:

√ ოჯახის ექიმის მასწავლებელი

☐ ზოგადი პრაქტიკის ექთანი მასწავლებელი

როგორ აფასებთ მასწავლებლის აქტივობას	**სავსებით ვეთანხმები**	**ვეთანხმები**	**მიჭირს აზრის ჩამოყალიბე**	**არ ვეთანხმები**
1. მასწავლებელი ეფექტურად განმარტავს პრობლემებს და მკაფიოდ და გასაგებად პასუხობს რეზიდენტების შეკითხვებს		√		
2. მასწავლებელი ხელს უწყობს დისკუსიებში რეზიდენტების აქტიურ მონაწილეობას			√	
3. მასწავლებელი ეფექტურად იყენებს მცირე ჯგუფებში კლინიკური ჩვევების სწავლების მეთოდებს (მაგ. როლების თამაში; პაციენტი)				√
4. მასწავლებელი ეფექტურად იყენებს სასწავლო აღჭურვილობას				√
5. მასწავლებელი ეფექტურად იყენებს ნაბეჭდ მასალებს				√
6. მასწავლებელი ეფექტურად იყენებს ვიდეო მასალას				-
7. მასწავლებელი ეფექტურად იყენებს კომპიუტერულ ტექნიკას				-
8. მასწავლებელი ქმნის მეგობრულ გარემოს			√	

სხვა კომენტარები:

თემა: ტუბერკულოზი

მასწავლებელი ავლენდა საკითხის ექსპერტულ ცოდნას.

ჯგუფში მუშაობისათვის დასახული მიზანი არ არის ნათელი და განმარტებული, მსმენელი არ იყო ინფორმირებული რა უნდა განხილულიყო და რა დროში.

მიზანი, როგორც გამოიკვეთა, იყო ფართე და მოიცავდა რამდენიმე საკითხს. მასწავლებელი ავლენდა ჯგუფის მართვის და დისკუსიის წარმართვის სურვილს, მაგრამ არა სათანადო ჩვევებს (რაც ესოდენ მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მსმენელებში განვავითაროთ კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრის და გადაწყვეტილებების მიღების უნარ-ჩვევები).

სასწავლო პროცესში არ მონაწილეობდა ყველა მსმენელი. ჯგუფი იყო დიდი ზომის იმისათვის, რომ ყველა წევრს ჰქონოდა საკმარისი დრო ჯგუფურ მუშაობაში თავისი წვლილის შესატანად. აუდიტორია არ იყო დაყოფილი მცირე ჯგუფებად, თუნდაც დროის რაღაც მონაკვეთში, რათა ეფექტურად გამოყენებულიყო მცირე ჯგუფში მუშაობის მეთოდოლოგია.

მასწავლებლის ავტორიტარულმა სტილმა და ბევრი ამოცანის ჩამოყალიბებამ, შეზღუდა მსმენელების სპონტანური მონაწილეობა, მათ არ მიეცათ დისკუსიის დაწყების შესაძლებლობა. ჯგუფი, მასწავლებლის ჩარევის გარეშე, იყო ჩუმად. იგნორირებული იყო ჯგუფის დამოუკიდებლობის ხელშეწყობის იდეა. მუდმივად ხდებოდა რომელიმე მსმენელის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება ამა თუ იმ საკითზე თეორიული განმარტების მიცემით, აშკარა იყო მასწავლებლის მხრიდან განსახილველ თემაზე ექპერტული ცოდნის დემონსტრირების მცდელობა.

თვალშისაცემი იყო, აგრეთვე, დომინანტურ მსმენელებზე ორიენტაცია.

მსმენელები მეცადინეობაზე სათანადოდ მომზადებული არ მოსულან.

არ ყოფილა გამოყენებული მასტიმულირებელი მასალები (მოკლე ტესტ-კითხვარი, პაციენტის ისტორია, ვიდეო, დაკვირვება როლების თამაშზე, ვიზუალური მასალები - სლაიდები, ნიმუშები, სქემები, დიაგრამები).

მასწავლებელმა ვერ წარმოადგინა ამოცანისადმი სტრუქტურირებული მიდგომა - მეცადინეობის წინასწარ შემუშავებული გეგმა როგორც საკითხების, ისე დროში მათი განაწილების თაობაზე, რაც ესოდენ აუცილებელია მიზანდასახული მეცადინეობისათვის. ხშირად დრო მოულოდნელად წამოჭრილი პრობლემის განხილვას ეთმობოდა.

დამკვირვებლის ანგარიშის ფორმა

მეცადინეობაზე დასწრების თარიღი 10.12.08

დამკვირვებლის გვარი:

მეცადინეობის ტიპი:

√ მცირე ჯგუფები

☐ მრავალდისციპლინური მეცადინეობა

მეცადინეობას ატარებდა:

☐ ოჯახის ექიმის მასწავლებელი

√ ზოგადი პრაქტიკის ექთანი მასწავლებელი

როგორ აფასებთ მასწავლებლის მოქმედებას	**სავსებით ვეთანხმები**	**ვეთანხმები**	**მიჭირს აზრის**	**არ ვეთანხმები**
1. მასწავლებელი ეფექტურად განმარტავს პრობლემებს და მკაფიოდ და გასაგებად პასუხობდა რეზიდენტების შეკითხვებს	-			√
2. მასწავლებელი ხელს უწყობს დისკუსიებში რეზიდენტების აქტიურ მონაწილეობას		√		
3. მასწავლებელი ეფექტურად იყენებს მცირე ჯგუფებში კლინიკური ჩვევების სწავლების მეთოდებს (მაგ. როლების თამაში; პაციენტი)				√
4. მასწავლებელი ეფექტურად იყენებს სასწავლო აღჭურვილობას				√
5. მასწავლებელი ეფექტურად იყენებს ნაბეჭდ მასალებს				√
6. მასწავლებელი ეფექტურად იყენებს ვიდეო მასალას				-
7. მასწავლებელი ეფექტურად იყენებს კომპიუტერულ ტექნიკას				-
8. მასწავლებელი ქმნის მეგობრულ გარემოს		√		

სხვა კომენტარები:

თემა: პაციენტი

ჯგუფში მუშაობისათვის დასახული მიზანი არ არის ნათელი და განმარტებული, მსმენელები არ იყვნენ ინფორმირებულები რა საკითხები უნდა განხილულიყო და რა დროში.

მასწავლებელი შეკითხვების დასმით ცდილობდა დისკუსიის სტიმულირებას და არ ავლენდა ცოდნის დემონსტრირებისა და დომინანტური ძალაუფლების სურვილს. მსმენელები აზრის გამოთქმისას, თავს საკმაოდ თავისუფლად გრძნობდნენ და თავდაჯერებულად გამოიყურებოდნენ.

დისკუსიის სტიმულირების მიზნით გამოყენებული იყო როლური თამაში.

თემის სათაურიდან გამომდინარე, მეთოდი სავარაუდოდ, ეძღვნებოდა კომუნიკაციისა და ემპათიის უნარების განვითარებას. სცენარის გათამაშება ისე დასრულდა, რომ არ მომხდარა მონაწილეების როლში შესვლა, რათა უფრო ღრმად ჩამწვდარიყვნენ იმ პერსონაჟის ემოციას და მოტივაციას, რომლის როლსაც თამაშობდნენ.

როლური თამაშის წარმართვისას წარმოჩენილი პრობლემები:

- არ აღინიშნებოდა მეთოდისადმი ფორმალიზებული (სტრუქტურირებული) მიდგომა;
- არ იყო განმარტებული მეთოდის არსი და მიზანი;
- თამაშისათვის არ იყო წინასწარ მომზადებული როლების რეალური აღწერა (სცენარი);
- დრო არც მომზადებისათვის და არც თამაშისათვის არ იყო განსაზღვრული;
- მოთამაშეები შერჩეული იყო სპონტანურად, ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე;
- არ იყო სათანადოდ განმარტებული დამკვირვებლის ფუნქციები;
- ბოლომდე გაურკვეველი დარჩა, რა მიზნით იქნა გამოყენებული აღნიშნული მეთოდი და საერთოდ, მივაღწიეთ თუ არა სასწავლო ამოცანას.

მასწავლებელმა ვერ წარმოადგინა მეცადინეობის წინასწარ შემუშავებული დეტალური გეგმა, როგორც საკითხების, ისე დროში მათი განაწილების თაობაზე.

დამკვირვებლის ანგარიშის ფორმა

მეცადინეობაზე დასწრების თარიღი: 11.12.08

დამკვირვებლის გვარი:

მეცადინეობის ტიპი:

√ მცირე ჯგუფები

☐ მრავალდისციპლინური მეცადინეობა

მეცადინეობას ატარებდა:

☐ ოჯახის ექიმის მასწავლებელი

√ ზოგადი პრაქტიკის ექთანი მასწავლებელი

როგორ აფასებთ მასწავლებლის მოქმედებას	**სავსებით ვეთანხმები**	**ვეთანხმები**	**მიჭირს აზრის**	**არ ვეთანხმები**
1. მასწავლებელი ეფექტურად განმარტავს პრობლემებს და მკაფიოდ და გასაგებად პასუხობდა რეზიდენტების შეკითხვებს				√
2. მასწავლებელი ხელს უწყობს დისკუსიებში რეზიდენტების აქტიურ მონაწილეობას				√
3. მასწავლებელი ეფექტურად იყენებს მცირე ჯგუფებში კლინიკური ჩვევების სწავლების მეთოდებს (მაგ. როლების თამაში; პაციენტი)				-
4. მასწავლებელი ეფექტურად იყენებს სასწავლო აღჭურვილობას				√
5. მასწავლებელი ეფექტურად იყენებს ნაბეჭდ მასალებს				√
6. მასწავლებელი ეფექტურად იყენებს ვიდეო მასალას				-
7. მასწავლებელი ეფექტურად იყენებს კომპიუტერულ ტექნიკას				-
8. მასწავლებელი ქმნის მეგობრულ გარემოს				√

სხვა კომენტარები:

თემა: ჯანმრთელობის დამკვიდრება

მსმენელები მეცადინეობაზე სათანადოდ მომზადებული არ მოსულან. მიზეზი - მასალის წინასწარი მიწოდების უზრუნველყოფის შეფერხება.

მასწავლებლს, სასწავლო მეთოდად, მსმენელებისათვის ახალი ფაქტობრივი ცოდნის გადაცემის მიზნით, შერჩეული ჰქონდა ლექცია. იგი გაგრძელდა სულ ორი საათის განმავლობაში, ამდენად აღნიშნული მეთოდი შესაძლოა ჩათვლილიყო საუკეთესო გზად დიდი ჯგუფისათვის სპეციფიკური ინფორმაციის მისაწოდებლად დროის შეზღუდულ მომენტში, თუმცა ჯგუფში მუშაობისათვის დასახული მიზანი არ იყო ნათელი და განმარტებული, მსმენელები არ იყვნენ ინფორმირებულები რა საკითხები უნდა განხილულიყო და რა დროში.

ლექციის დასაწყისში აუდიტორიას დაესვა შეკითხვები, რამაც მსმენელები მცირედ დააფრთხო.

ლექტორს წინასწარ მომზადებული ჰქონდა ვიზუალური მასალა აცეტატების სახით. პრეზენტაციის ხარისხი იყო დაბალი, ნათლად ჩანდა, რომ ტრენერი ცდილობდა ძალიან ბევრის მიღწევას და ამოცანები არ გადაანაწილა მომდევნო დღეებზე. რთული იყო იმის გაგება, თუ რის მიღწევას ცდილობდა კონკრეტულ ლექციაზე. სავარაუდოდ (აცეტატებზე მოთავსებული ინფორმაციით თუ ვიმსჯელებთ) მასწავლებელი მიზნად ისახავდა ზოგიერთი მნიშვნელოვანი კონცეფცია და პრინციპი მიეწოდებინა მსმენელებისათვის, თუმცა არ ჰქონდა მომზადებული ნათელი გეგმა იმის თაობაზე, თუ როდის რა უნდა განეხორციელებინა. არ ჰქონდა დაცული ლოგიკური თანმიმდევრობა, ერთდროულად შეეხო რამდენიმე საკითხს, რომელთა შორის ლოგიკური კავშირი არ არსებობდა.

მასწავლებელი ძალიან ღელავდა, აშკარად აკლდა თავდაჯერებულობა და გამოცდილება. ვერ შეინარჩუნა აუდიტორიის ინტერესი და მონაწილეობა, ვერ ამყარებდა აუდიტორიასთან სათანადო ვიზუალურ კოტაქტს.

გასაგებად და ლოგიკურად ვერ წარმოადგინა მასალა, ვერ მისცა სტუდენტებს საგნის ძირითადი პრინციპების გაგების საშუალება, ვერ უზრუნველყო თემის (აზრის) უწყვეტობა, ვერ უჩვენა საგნის ღრმა ცოდნა.

დამკვირვებლის ანგარიშის ფორმა

მეცადინეობაზე დასწრების თარიღი 17.12.08

დამკვირვებლის გვარი:

მეცადინეობის ტიპი:

√ მცირე ჯგუფები

☐ მრავალდისციპლინური მეცადინეობა

მეცადინეობას ატარებდა:

√ ოჯახის ექიმის მასწავლებელი

☐ ზოგადი პრაქტიკის ექთანი მასწავლებელი

როგორ აფასებთ მასწავლებლის მოქმედებას	**სავსებით ვეთანხმები**	**ვეთანხმები**	**მიჭირს აზრის**	**არ ვეთანხმები**
1. მასწავლებელი ეფექტურად განმარტავს პრობლემებს და მკაფიოდ და გასაგებად პასუხობდა რეზიდენტების შეკითხვებს				√
2. მასწავლებელი ხელს უწყობს დისკუსიებში რეზიდენტების აქტიურ მონაწილეობას				√
3. მასწავლებელი ეფექტურად იყენებს მცირე ჯგუფებში კლინიკური ჩვევების სწავლების მეთოდებს (მაგ. როლების თამაში; პაციენტი)				√
4. მასწავლებელი ეფექტურად იყენებს სასწავლო აღჭურვილობას				-
5. მასწავლებელი ეფექტურად იყენებს ნაბეჭდ მასალებს				√
6. მასწავლებელი ეფექტურად იყენებს ვიდეო მასალას				-
7. მასწავლებელი ეფექტურად იყენებს კომპიუტერულ ტექნიკას				-
8. მასწავლებელი ქმნის მეგობრულ გარემოს				√

სხვა კომენტარები:

კლინიკური პრაქტიკა - თემა: პედიატრია

კლინიკური პრაქტიკის მასწავლებელს არ გააჩნდა მეთოდისადმი სტრუქტურირებული მიდგომა, არ ჰქონდა მიღებული ინსტრუქცია თეორიული საგნის მასწავლებლისაგან იმის თაობაზე, თუ რა თემები ჰქონდათ გავლილი, არ იცოდა იმ მოდულის მიზნებისა და ამოცანების შესახებ, რომლის

ნაწილსაც წარმოადგენდა მის მიერ ჩასატარებელი კლინიკური სწავლების კურსი და არც თავად შეუდგენია გეგმა სწავლების განხორციელების თაობაზე, არ ჰქონდა დასახული ამოცანები და არც მსმენელებისათვის გაუცვნია მოსალოდნელი შედეგების თაობაზე თავისი ხედვა.

საკითხი არ ჰქონდა შეთანხმებული და განხილული სხვა მასწავლებლებთან, რომლებიც აღნიშნული (4 ქვეჯგუფის) ჯგუფის ტრენინგში მონაწილეობენ.

მასწავლებელს წინასწარ არ ჰქონდა დაგეგმილი დრო და გათვალისწინებული მსმენელების განათლების საწყისი დონე. არც მასწავლებელი და არც მსმენელები არ იყვნენ მზად აღნიშნული სწავლების ჩასატარებლად.

მცირე რაოდენობით პაციენტების არსებობამ კიდევ უფრო გააუარესა კლინიკური სწავლების ხარისხი.

მუშაობამ პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების ნაცვლად (რაც მათი განვითარების წინაპირობაა) მიიღო მცირე ჯგუფში დიდაქტიკური სწავლების სახე. არ ყოფილა პრაქტიკული უნარ-ჩვევების (კლინიკური, კომუნიკაციისა და მართვის) და პრობლემის გადაჭრის უნარის ათვისების მცდელობა.

ჯგუფში შეიქმნა დაძაბული ატმოსფერო. მსმენელები პასიური დამკვირვებლის როლში აღმოჩნდნენ. ექიმმა პაციენტისაგან არ მოითხოვა ნებართვა კონსულტაციაზე მსმენელების დასასწრებად. მასწავლებელმა პაციენტთან ურთიერთობისას ვერ გამოავლინა საოჯახო მედიცინის პრინციპების პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევა. სწავლება ორიენტირებული იყო დაავადებაზე და არა პაციენტზე.

მსმენელებს არ ჰქონდათ თავიანთი კლინიკური ჩვევების პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობა.

მასწავლებელმა ვერ უზრუნველყო სტუდენტების აქტიური მონაწილეობა კლინიკურ პროცესში, ვერ მოახერხა პაციენტზე დისკუსის სტიმულირება პრობლემის გადაჭრის უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით. ჯგუფში არ განხილულა ფაქტობრივი კლინიკური მასალა, რათა მოეხდინათ ბაზისური და მეცნიერული მონაცემების ინტეგრირება.

სწავლება იყო უინტერესო, სტუდენტებს შორის ინტერაქტიური საუბარი არ შემდგარა, ერთ-ერთი მსმენელის დომინანტური როლი კიდევ უფრო თრგუნავდა ჯგუფის სხვა წევრების აქტივობას.

მასწავლებელმა ვერ მოახერხა ეფექტური კლინიკური სწავლების უზრუნველყოფა.